# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 8 21 0000258050

19/03/2021

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^1$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან”.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-7[1] პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 01 სექტემბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №757245 სააკრედიტაციო განაცხადი „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.
2.2 ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №997962 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ნოემბრის №1096606 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 26 ნოემბერს დისტანციურად განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი დაწესებულებაში ხოლო 2021 წლის 03 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა *2021 წლის 4 მარტს.* სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ *ნაწილ ობრივ გაიზიარა* ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ ერთი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში

**3. სარეზოლუციო ნაწილი**
“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ თექვსმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**
1.დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს *2021 წლის 19 მარტის №257551 სხდომის ოქმის №05 ნაწილი* ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

**4. საბჭომ შესასრულებლად განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**
4.1. უზრუნველყოს უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესების მოყვანა არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;
4.2. მოხდეს შიდა შეფასების პროცედურების დახვეწა და რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება.

**რჩევები:**

1.სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულებების და მემორანდუმების განახლება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;

2. სასურველია, რომ პროგრამის შედეგების გადაჯგუფება მოხდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოცემული კომპეტენციების მიხედვით;

3. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს თუ რა სპეციალობის/მიმართულების/დარგის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;

4. სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;

5. გაფართოვდეს თავისუფალი, არჩევითი კომპონენტების ჩამონათვალი;

6. უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ხელშეკრულებების და მემორანდუმების განახლება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.;

7. სასურველია, რომ პროგრამის აღწერაში მითითებული იყოს სწავლება/დასწავლის ის მეთოდები, რომლებიც რეალურად გამოიყენება პროგრამის იმპლემენტაციის დროს პროგრამის მიერ გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;

8. ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრის კონსულტაციების გრაფიკი დეპარტამენტების მიხედვით;

9. სასურველია ფაკულტეტზე შეიქმნას სტუდენტთა დასაქმების ცენტრი, რომელიც ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ცენტრალიზებულად მიაწვდის სტუდენტებს;

10. სამაგისტრო ნაშრომებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი;

11. მოწესრიგდეს სილაბუსებში მითითიბული სასწავლო რესურსების საბიბლიოთეკო კოდები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 04 მარტს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ